# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 20 აპრილი 2005 №87 (2410) ფასი 50 თეთრი



**ცქიტიშვილი დემეტრაძესთან?**

ფრაიბურგიდან დონეცკის მეტალურგში

4

**შვიდჯერ ორი ევროპაზე**

შესარჩევის ახალი ფორმატი

6



**ქალები და რისკიანი კაცები**

ქალები შერეკილებს არ ეტრფიან

14

# ოფიციალური რომანი

## აბრამოვიჩმა მილანს კალაძე მოსთხოვა





# ერთი შანსი ცხოვრებაში

## ნოდარ ახალკაცმა ფიქრის წამზომი ჩართო

*...თუ პრეზიდენტობას გადავწყვეტ, ეს ჩემთვის უფრო დიდი გამოწვევა იქნება, ვიდრე იურისტობა...*

*...მე ფეხბურთით ვცოცხლობ და საფეხბურთო საქმიანობა ძალიან მაინტერესებს — ქართული ფეხბურთის განვითარებაში წვლილის შეტანა ყოველთვის მინდოდა...*

*...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის შანსი ყოველთვის არ მოგეცემა, ასეთი შანსი ცხოვრებაში ალბათ ერთხელ გეძლევა...*

*...„დინამოს“ სანვრთნელ პროცესს ბავშვობიდან ვაკვირდებოდი, როცა გუნდს მამაჩემი თავკაცობდა და ეს საკმაოდ დიდი პლაცდარმია ფეხბურთში ოფიციალური საქმიანობისთვის...*



# კალაძეს ჩელსი გაუხსენეს

## რომან აბრამოვიჩმა მილანს ქართულად მიუკაკუნა


რომან აბრამოვიჩი

**იტალიური** მედია კვლავაც კახა კალაძის ინგლისურ „ჩელსიში“ გადასვლაზე ალაპარაკდა. „მილანის“ ქართველი მცველი ლონდონელთა მილიარდერ მეპატრონე რომან აბრამოვიჩს მოსდის თვალში და მას ოფიციალური წინადადებაც შეუთავაზებია „შავწითელთა“ ხელმძღვანელობისთვის. კონკრეტული დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუმც იტალიური მედია ჯიუტად ამტკიცებს, „მილანის“ ოფისში კალაძეზე მოთხოვნის ფურცელი დევსო.

შეგახსენებთ, რომ კალაძის „ჩელსიში“ შესაძლო გადასვლაზე ჯერ კიდევ სამი თვის წინ ალაპარაკდნენ. ჩვენთვის ამ ცეცხლივით მოგიზგიზე თემას ნავთს ისიც ასხამს, რომ მილანელებმა არგენტინელი ფორვარდის ერნან კრესპოს შეძენა საბოლოოდ გადაწყვიტეს. კრესპო კი სწორედ „ჩელსის“ ეკუთვნის.

ამასობაში ლონდონელებმა თქვეს, მცველის შეძენას კი ვაპირებთ, მაგრამ ჩვენი სამიზნის ვინაობას, ბუნებრივია, ჯერ ვერ გავამხელთო. ინგლისელი ჟურნალისტებიც დაფაცურდნენ და... „ჩელსის“ სამიზნედ „მანჩესტერის“ მცველი რიო ფერდინანდი გამოაცხადეს, რაზეც „არისტოკრატებმა“ მყის ოფიციალური წერილით უპასუხეს: „არავითარი ფერდინანდი. მისი შეძენა ჩვენს გეგმებში არანაირად არ შედის“.

ასე რომ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**ძახა შალამბერიძე**


კახა კალაძე

# გესი ალანიაშიც სპარტაკულს აწვება

## ლადო ბურდული: ჩვენ ათეულის გუნდი ვართ

*ხუთი ტურის შემდეგ ვლადიკავკაზის „ალანია“ რუსეთის პრემიერლიგაში ბოლო, მე-16 ადგილზეა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ამ გუნდში ექვსი ქართველი თამაშობს — ლევან გვაზავა, ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული, დავით კვირკველია, გიორგი შაშიაშვილი და ჯაბა კანკავა.*

*მოსალოდნელიც იყო და, ახლახან „ალანიას“ მწვრთნელი შეუცვალეს — იქნებ ვლადიკავკაზელებს ეს მაინც წაადგეთ. ალანიურ ამბებზე ლადო ბურდულს ვესაუბრეთ...*



— ბახვა თედეევის ნაცვლად მწვრთნელად ედგარ გესი უკვე დაგვინიშნეს და მომდევნო თამაშზეც ის გაიყვანს გუნდს.

**— „ალანიას“ ასეთ ცუდ სტარტს რას დააბრალებდი? გუნდმა ხუთ თამაშში მხოლოდ ქულა აიღო...**

— ახლადშექმნილი გუნდი ვართ, შეთამაშება გვაკლია და თითქმის ყველა მატჩში სხვადასხვა შემადგენლობით ვითამაშეთ. პოტენციურად კი „ალანია“ ზედა ათეულის გუნდია.

**— როგორ ფიქრობ, გესის მწვრთნელად დანიშვნით რა შეიცვლება?**

— გესი მოსკოვის „სპარტაკში“ თამაშობდა ფეხბურთს და სურს, რომ „ალანიაც“ „სპარტაკის“ მსგავსი სტილით, ტექნიკურად ათამაშოს, ბახვა თედეევი კი უფრო ძალისმიერ ფეხბურთზე აკეთებდა აქცენტს.

**— გესმა მიზნად ალბათ არგავარდნა დაუსახა გუნდს...**

— მთლად ასეც არაა საქმე, ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და ჯერ ყველაფერი წინაა. საგანგაშო არაფერია, ათეულში მოხვედრა ნაღდად შეგვიძლია.

**— თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი „ალანიაში“ რომ გადახვედი, ამას არ ნანობ, უკმაყოფილო არაფრით ხარ?**

— უკმაყოფილო ვარ იმ შედეგით, რაც ამ დროისთვის აქვს „ალანიას“, თორემ რუსეთის ჩემპიონატში ახლა ისეთი ვითარებაა, რომ მალე დაეწევა ევროპულ ფეხბურთს — ბურთი გადააგდე და გაეკიდე — ასეთ ფეხბურთს რუსეთში უკვე აღარ თამაშობენ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, იმას ხომ ყველა ხედავს, როგორ თამაშობენ ევროტურნირებზე ცსკა და „ლოკომოტივი“?!

**დავით თავართქილაძე**

## თქვენი ინტერვიუ

## კახა კალაძესთან

**«მილანი» მილანი, იტალია**

***რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა. კითხვები 25 აპრილის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და კახასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მაისამდე გამოქვეყნდება.***

***ერთი სიტყვით, იაქტიურეთ, თქვენ კახა კალაძე გპასუხობთ...***



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
უნიონი 0:0 კილი
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
ბაიერნი (მ) 0:0 კობლენცი
ჰოფენჰაიმი 1:1 მიუნხენი (მ)
ნოტინგენი 0:3 კიკერსი
რეგენსბურგი 1:0 ფიურტი
შტუტგარტი (მ) 0:1 აალენი
დარმშადტი 1:2 აუგსბურგი
თასის ნახევარფინალი
*შალკე* 1:1 (2:2დ.დ.,5:4პენ.) ვერდერი

### საფრანგეთი

თასის მეოთხედფინალი
*სედანი* 1:1 (2:1დ.დ) გრენობლი
*მონაკო* 0:0 (1:0დ.დ.) კლერმონი

### ავსტრია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
ლეობენი — რიდი გადაიდო

### პოლონეთი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
კრაკოვია 1:0 ზაგლებე

### შვედეთი

ალსვენსკა. II ტური
გეფლე 1:2 ჰელსინგბორგი

### ინგლისი

პრემიერლიგა
XXXIV ტური
ბოლტონი 1:1 საუთჰემპტონი
მიდლსბრო 1:1 ფულემი
ჩემპიონატი
გადადებული მატჩები
სტოკი 0:1 ვესტ ჰემი
ბარნლი 2:0 ქუინზ პარკი
ლესტერი 1:1 კარდიფი
პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
რედინგი — ბრენტფორდი გადაიდო
მეორე ლიგა
გადადებული მატჩი
მაკლსფილდი 1:2 საუთენდი
კონფერენსლიგა
XLII ტური
აკრინგტონი 3:3 ალდერშოტი
ბარნეტი 1:1 კარლაილი
ბარტონი 1:0 ნორსვიჩი
ძონვი 4:0 იორკი
ძროული 1:2 სტივენეიჯი
ექსეტერი : გრეივსენდი
ფარნბორო 3:0 ჰალიფაქსი
ლეი 0:1 დაგენემი
მორეკემბი 3:1 ფორესტ გრინი
უოკინგი 1:1 ჰერეფორდი

### პორტუგალია

თასის ნახევარფინალი
*სეტუბალი* 1:1(2:1დ.დ.) ბოავიშტა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ნოდარ ახალკაცი ნოდარ ახალკაცზე

## ღმერთის მადლობელი ვარ, ასეთი მასწავლებელი რომ მარგუნა



ნოდარ ახალკაცს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე საკუთარი კანდიდატურა ჯერ არ წამოუყენებია, თუმც ის, რომ ახალკაცი გერმანიიდან თბილისში ჩამოვიდა, ძალიან საყურადღებოა. უმცროსი ახალკაცი ახლა ყველაფერს ზომავს და წონის და სანამ გადაწყვეტილებას მიიღებს, „სარბიელის" კითხვებს პასუხობს. ინტერვიუმდე კი მან გვითხრა: „გერმანიიდან გაზეთების საშუალებით თვალყურს ვადევნებდი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების პერიპეტიებმა გივი ნოდიას გარდაცვალება მეორე პლანზე გადაწია, რაც ჩემთვის გულდასაწყვეტია. მსურს, შემთხვევით ვისარგებლო და გივი ნოდიას ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და ნათესავებს თანაგრძნობა გამოვუცხადო." ერთი სიტყვით, ახალკაცი სამშობლოშია და მთელ რიგ ასპექტებს ულრმავდება...

### ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთია

**— გერმანიაში იურისტის დიპლომი აიღეთ — რა უფრო დიდი გამოწვევაა თქვენთვის, იურისტის კარიერა თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა?**

— თუ პრეზიდენტობას გადავწყვეტ, ეს ჩემთვის უფრო დიდი გამოწვევა იქნება, ვიდრე იურისტობა. როცა იურისტად მუშაობ, მეტწილად უფრო მშვიდ, დალაგებულ პირობებში გიწევს საქმიანობა, ვიდრე ფედერაციის პრეზიდენტობისას. მე ფეხბურთით ვცოცხლობ და საფეხბურთო საქმიანობა ძალიან მაინტერესებს — ქართული ფეხბურთის განვითარებაში წვლილის შეტანა ყოველთვის მინდოდა.

**— ფედერაციის პრეზიდენტობისთვის იურიდიულ პრაქტიკას შეწყვეტთ?**

— პრაქტიკა თითქმის დავამთავრე. დიპლომი უკვე მაქვს და პრაქტიკა იმისთვის მჭირდება, რომ როცა მუშაობას დავიწყებ, ადაპტაცია არ გამიჭირდეს. ერთი სიტყვით, ჩემ იურისტად მუშაობას წინ არაფერი უდგას, ხოლო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის შანსი ყოველთვის არ მოგეცემა, ასეთი შანსი ცხოვრებაში ალბათ ერთხელ გეძლევა. ჰოდა, მეც აქ ვარ და სიტუაციას ვეცნობი.

**— დაახლოებით რამდენი ხანი დაგჭირდებათ სიტუაციის გასაცნობად?**

— გადაწყვეტილებას არაუგვიანეს 20 მაისამდე მივიღებ — პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის ბოლო ვადამდე. ჯერ ვერ გეტყვით, რამდენ ხანს დავრჩები საქართველოში.

**— სერიოზულად დაფიქრებულიყავით ფედერაციის პრეზიდენტობაზე — ასეთი ინიციატივა ქვეყნის ხელისუფლებისგან წამოვიდა?**

— ინიციატივა ჩემგან წამოვიდა და ამისკენ მოვლენათა განვითარებამაც მიბიძგა.

**— ვთქვათ, მიიღეთ გადაწყვეტილება და პრეზიდენტობის კანდიდატი გახდით — ასეთი შემთხვევისთვის უკვე გყავთ შეგულებული სერიოზული ფინანსური პარტნიორი?**

— ჩემეული ხედვა გამაჩნია, რაც ფინანსურ პერსპექტივებსაც მოიცავს, მაგრამ ამ საკითხზე კონკრეტული პასუხისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. თუ პრეზიდენტობაზე საკუთარ კანდიდატურას წამოვაყენებ, მზად ვიქნები ამ კითხვაზე პასუხისთვის.

**— ამბობენ, რომ დიდი შანსია, თქვენ და რევაზ არველაძემ ალიანსი შექმნათ...**

— რაიმე ალიანსზე საუბარი ჯერ მიზანშეწონილი არ არის.

### მე და მამაჩემი ხშირად ვპაექრობდით

**— ფედერაციის პრეზიდენტობა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა — არის ბევრი რამ, რაც მხოლოდ ასაკთან ერთად მოდის...**

— 29 წლის ვარ და შესაძლოა, ეს ბევრისთვის ძალიან ახალგაზრდული ასაკი იყოს, თუმც ფეხბურთში საქმიანობის საკმაო სტაჟი მაქვს — 13 წელი მომიწია სხვადასხვა საფეხბურთო სტრუქტურაში მუშაობამ. „დინამოს" საწვრთნელ პროცესს ბავშვობიდან ვაკვირდებოდი, როცა გუნდს მამაჩემი თავკაცობდა და ეს საკმაოდ დიდი პლაცდარმია ფეხბურთში ოფიციალური საქმიანობისთვის. ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ისეთი მასწავლებელი მარგუნა, როგორიც მამაჩემი იყო. ჩვენ ერთად ვუყურებდით ხოლმე საფეხბურთო მატჩებს და თამაშებს ვარჩევდით. მამაჩემი ხშირად ინტერესდებოდა ჩემი შეხედულებით ამა თუ იმ საფეხბურთო საკითხზე. როცა თამაშის დროს შეცვლა მზადდებოდა, მე და მამაჩემს თავისებური პაექრობა გვქონდა — უნდა გამომეცნო, თუ ვის შეცვლიდა მოედანზე შესასვლელად გამზადებული ფეხბურთელი. მე მის ხელში ვიზრდებოდი, ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ფეხბურთზე, მათ შორის გლობალურ საფეხბურთო საკითხებზეც.

**— და ყველაფერ ამას საკმარისად მიიჩნევთ ფედერაციის პრეზიდენტობისთვის?**

— გერმანიაში შეძენილი იურიდიული განათლებაც საჭირო ბალანსია საფეხბურთო ფუნქციონერის კარიერისთვის. ჰაიდელბერგში სწავლისას, როგორც მომავალმა იურისტმა, სავალდებულო პრაქტიკა ფეხბურთში გავიარე — უეფას ოფისში ნიონში და გერმანიის საფეხბურთო კავშირში, რამაც დიდი გამოცდილება შემძინა, რაც საკმარისია იმისთვის, რომ საფუძვლიანად დავფიქრდე, წამოვაყენო თუ არა საკუთარი კანდიდატურა ფედერაციის პრეზიდენტობისთვის.

### საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში პროგრესული ხალხია

**— უეფა და გერმანიის საფეხბურთო კავშირი კარგი სკოლაა, მაგრამ საქართველოში მუშაობა სულ სხვაა, აქ სულ სხვა თამაშის წესებია...**

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტში მუშაობისას ნაკრების ფეხბურთელებთან ხშირად მისაუბრია საჭირბოროტო საკითხებზე. გერმანიაში სწავლისასაც რამდენიმე თვით ჩამოვდიოდი საქართველოში და აქაურ საფეხბურთო ცხოვრებას ვაკვირდებოდი. ვთანამშრომლობდი თბილისის „ამერთან", რაც, სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა. მანამდე კი, როცა „ზესტაფონი" რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, კლუბის ხელმძღვანელ ილია კოკაიას მე და [illegible] რჩევებით დავეხმარეთ. ერთი სიტყვით, მხოლოდ ევროპული გამოცდილება როდი მაქვს ფეხბურთში საქმიანობისთვის.

**— თქვენი ევროპული გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორ წარმოგიდგენიათ სახელმწიფოს როლი ფეხბურთის განვითარებაში?**

— ეს ძალიან კომპლექსური საკითხია და მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდები. მოგეხსენებათ, სანაკრებო მატჩების ორგანიზატორი ეროვნული ფედერაციაა და VIP ლოჟისთვისაც ის იწვევს სტუმრებს. მატჩის მასპინძელი ქვეყნის ფედერაციის ხელმძღვანელი სახელმწიფოს მეთაურის გვერდით ჯდება, ისიც გათვლილია, ვინ მარჯვნივ უნდა დაჯდეს და ვინ მარცხნივ. საქართველოს წინა ხელისუფლების დროს მამაჩემს ამ საკითხში ხშირად ედავებოდნენ, ეუბნებოდნენ, თქვენ ინგლისში რომ ჩადიხართ, მატჩზე სამეფო ოჯახის წევრების გვერდით ჯდებით. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება — პასუხობდა მამაჩემი. სასიხარულოა, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში პროგრესულად მოაზროვნე ხალხია და ასეთ ასპექტებს სხვა კუთხით უყურებს. ერთი შეხედვით, ეს პატარა დეტალია, მაგრამ საქმისადმი გლობალურად მიდგომის მხრივ, ერთობ მნიშვნელოვანი.

**დავით თავართქილაძე**



# ცქიტიშვილი დემეტრაძესთან?
## ფრაიბურგიდან დონეცკში

**ქართველების** „ფრაიბურგი" ბუნდესლიგას ეთხოვება და ლევან ცქიტიშვილიც ბოლო მატჩებს ატარებს ფოლკერ ფინკეს გუნდში. „ცქიტო" ერთხელ უკვე გადაჰყვა ამ კლუბს მეორე ბუნდესლიგაში, ახლა კი იგივეს გამეორებას აღარ აპირებს. თანაც, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს „ფრაისთან" კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და თავისუფალი აგენტი ხდება.

ცქიტიშვილის მსურველი ერთი კლუბი უკვე გამოჩნდა — დონეცკის „მეტალურგი". დონბასელებს ფულის პრობლემა არ აწუხებთ, უკრაინის ჩემპიონატიც ლეგიონერებით სავსეა, მაგრამ გერმანიიდან უკრაინაში წასვლა, ვფიქრობთ, ძალიან სასურველი პერსპექტივა არაა.

შეგახსენებთ, რომ გოჩა ჯამარაულის და გიორგი გახოკიძის წასვლის მერე „მეტალურგში" ერთადერთი ქართველი გიორგი დემეტრაძე თამაშობს და, ვნახოთ, შეუამხანაგდება თუ არა „დემეს" ცქიტიშვილი.

ისე კი, ლევანის გადაბირება, ვინძლო, სხვა კლუბებმაც ისურვონ...

**ილია ნანობაშვილი**

# კარგ მეკარეს კარგი დამნახავი უნდა
## ზვიად სტურუა: ნაკრებისთვის დღეს და ღამეს გავასწორებ

*თბილისის „ლოკომოტივს" რომ წლეულს ნაგების გემო არ გაუსინჯავს და გოლსაც იშვიათად უშვებს, ეს, ცხადია, მეკარე ზვიად სტურუას დამსახურებაცაა. ბევრი გულშემატკივრის აზრით, სტურუა ეროვნული ნაკრების მთავარმეკარეობასაც იმსახურებს და ჩვენი დღევანდელი რესპონდენტის ტკივილიც სწორედ ესაა — ნაკრების მაისურის ღირსი გავხდე და 24 საათი ვივარჯიშებო. არადა, შუა სეზონში სტურუა სწორედ ალენ ჟირესის კრებულში მოხვედრის მიზნით გადავიდა „ლოკომოტივში", მაინც თბილისური კლუბია და უფრო დამაკვირდებიანო...*



— „ლოკომოტივი" მართლაც კარგი გუნდია, თასის მოპოვება და ჩემპიონატში მეორე ან მესამე ადგილზე გასვლა გვინდა, რაც ნაღდად არაა შეუძლებელი. ბევრს ნიშნავს მწვრთნელიც: ნოდარ აკობიას კარგი მიდგომა აქვს ფეხბურთელებთან, მეგობრული გუნდი ვართ და, რაც ყველაზე ძალიან მახარებს, 17-18 წლის უნიჭიერესი ბიჭები გვყავს. ახალგაზრდული გუნდით წარმატების მიღწევას სხვა ხიბლი აქვს.

**— არადა, „ზესტაფონი" გიწვევდა და ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ იქ გადასვლაზე უარი თქვი...**

— ყველას ეგონებოდა, ერთ-ერთ აუტსაიდერ გუნდში ფულის გულისთვის გადავიდაო აბა, სხვა რა უნდა იფიქრო, „ზესტაფონი" ხომ იმ დროს ისეთი ძლიერი არ იყო. მე კი დღე და ღამე ნაკრებზე ვფიქრობდი და დღესაც ასეა. „ლოკომოტივში" იმიტომაც გადმოვედი, რომ მაინც დედაქალაქის კლუბია და ნაკრების ხელმძღვანელები უფრო ხშირად დამაკვირდებიან.

**— არადა, ასე არ მოხდა. საბერძნეთთან და თურქეთთან მესამე მეკარედაც არ მიგიწვიეს. ნაწყენი არ ხარ?**

— წყენის გულში ჩადება არ მჩვევია. ყველაფერი უნდა გავაკეთო, რათა ნაკრებში მოვხვდე. ეს არის ჩემი ბავშვობის ოცნება და ამ მიზნის მისაღწევად ვარჯიშს თავს შევაკლავ. დანარჩენი კი ნაკრების მწვრთნელებზეა დამოკიდებული.

**— საქართველო მდიდარი არაა ძლიერი მეკარეებით. ახალი თაობიდან თუ მოდის ისეთი, ვისზეც თამამად დაყრდნობა შეიძლება?**

— ჩვენს ჩემპიონატში ბევრი კარგი მეკარეა, ახალგაზრდებიდან კი თუნდაც ლოკომოტიველი ზვიად ჩალაძისა და ტორპედოელი ნუკრი რევიშვილის გამორჩევა შეიძლება.

**— ბოლოს ისევე ნაკრებზე ვთქვათ. იქნებ იქ მოსახვედრად მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში კარგი თამაში არ კმარა? უცხოეთში წასვლას ხომ არ აპირებ და თუ გაქვს ასეთი ვარიანტი?**

— თავის დროზე უკრაინულ კლუბებზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ქართველ მეკარეს უცხოეთში დამკვიდრება ძალიან გაუჭირდება, რეკლამა არა აქვს. სადღაც სუსტ გუნდში წავიდე და დრო უქმად დავკარგო?! ამას საქართველოს ჩემპიონატში თამაში მირჩევნია.

**ილია ნანობაშვილი**

# თვალთვალი



ალილუია, თთარ გაბელიამ მსაჯებს ხელი ჩამოართვა! ეს ამბავი საქართველოს ჩემპიონატის 28-ე ტურში, „ლოკომოტივ" — „ტორპედოს" მატჩის შემდეგ მოხდა, სათვალთვალო კი ის არის, რომ ქუთათურთა თავკაცის მსაჯებისადმი დამოკიდებულება საქვეყნოდაა ცნობილი.

რა ბზიკმა უკბინა გაბელიას, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია — მთელი 27 ტურის განმავლობაში მსაჯებზე გადაკიდებული კაცი ახლა მადლობას იხდის.

# გოგობერიშვილი და ძოძუაშვილი სან სიროზე

**ჩვენთვის** უკვე საინტერესოდ ქცეულ აზერბაიჯანში თასის ნახევარფინალის პირველი მატჩები გაიმართა. ალეკო გოგობერიშვილისა და მერაბ ძოძუაშვილის „ბაკის" საჩემპიონო შანსები გადაეწურა, მაგრამ თასის ფინალს კი უკვე მიუკაკუნა. „ბაკიმ" სტუმრად ბრაზილიელი დომინგოს გოლით 1:0 აჯობა „არაზს" და შინ რაღა უნდა დაემართოს. გოგობერიშვილმა „არაზთან" სრულად ითამაშა, ძოძუაშვილი კი შეცვლაზე შევიდა.



ამ თამაშში ტრიბუნებზე მოხდა დიდი არეულობა — „არაზის" ქომაგებმა შუშის ბოთლები ესროლეს ბაქოელებს, ერთ-ერთი ასეთი ნასროლი ფეხებთან დაუვარდა სტუმართა მცველ ილია გურბანოვს და ამანაც ბუმერანგივით ქომაგებს დაუბრუნა საგანი, რამაც კინაღამ გულშემატკივარი იმსხვერპლა. მერე პლასტმასის ბოთლი „ბაკის" სენეგალელ მეკარე ხალიდუ სისოკოს გაარტყეს, თამაშის დასრულების შემდეგ კი ბაქოელი ფეხბურთელები ნახევარი საათი მინდორზე იყვნენ და მხოლოდ ტრიბუნების დაცარიელებისას შევარდნენ გასახდელში.

მოკლედ, რაღა „ინტერი" — „მილანი" და რაღა „არაზი" — „ბაკი". ისე, არც ქართველები ვართ ეგეთ რაღაცეებთან უბრად.

მეორე ნახევარფინალში კი ფავორიტმა „ხაზარმა" გასვლაზე 1:2 წააგო „ინტერთან".

**ილია ნანობაშვილი**

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეჯინა | : | ატალანტა |
| ლეჩე | : | ბოლონია |
| პალერმო | : | ბრეშა |
| მილანი | : | კიევო |
| იუვენტუსი | : | ინტერი |
| კალიარი | : | ლაციო |
| უდინეზე | : | ლივორნო |
| ფიორენტინა | : | მესინა |
| პარმა | : | სამპდორია |
| რომა | : | სიენა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 31 | 21 | 7 | 3 | 55:24 | 70 |
| მილანი | 31 | 20 | 7 | 4 | 51:20 | 67 |
| ინტერი | 31 | 13 | 17 | 1 | 56:35 | 56 |
| სამპდორია | 31 | 15 | 6 | 10 | 33:23 | 51 |
| უდინეზე | 31 | 14 | 7 | 10 | 46:33 | 49 |
| პალერმო | 31 | 12 | 11 | 8 | 36:31 | 47 |
| ლაციო | 31 | 11 | 7 | 13 | 40:41 | 40 |
| რომა | 31 | 10 | 9 | 12 | 50:50 | 39 |
| კალიარი | 31 | 10 | 9 | 12 | 44:50 | 39 |
| ლივორნო | 31 | 10 | 9 | 12 | 37:43 | 39 |
| მესინა | 31 | 10 | 9 | 12 | 34:42 | 39 |
| ბოლონია | 31 | 9 | 11 | 11 | 29:29 | 38 |
| რეჯინა | 31 | 10 | 8 | 13 | 31:38 | 38 |
| ლეჩე | 31 | 9 | 10 | 12 | 53:58 | 37 |
| კიევო | 31 | 9 | 7 | 15 | 26:43 | 34 |
| სიენა | 31 | 6 | 15 | 10 | 32:45 | 33 |
| პარმა | 31 | 8 | 9 | 14 | 36:51 | 33 |
| ფიორენტინა | 31 | 7 | 11 | 13 | 34:45 | 32 |
| ბრეშა | 31 | 8 | 6 | 17 | 26:41 | 30 |
| ატალანტა | 31 | 6 | 9 | 16 | 29:39 | 27 |

## იტალია

პაპუნა კედია

# დელე ალპი ოთხოსნების მოლოდინში




**პირველი წრის „იტალიური დერბი“ „სან სიროზე“ ფრედ, 2:2 დასრულდა**

**„იუვენტუსისა“** და „ინტერის“ იტალიურ დერბიდ წოდებული დაპირისპირება ამჯერად „ბებერი ქალბატონისთვის“ გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მილანელებისთვის და ამის მიზეზი ნათელზე ნათელია: ტურინულ გუნდს კვირას გვარიანად გაუმართლა — 31-ე ტურში, როდესაც მან „ლეჩეს“ 5:2 მოუგო, მისი ერთადერთი კონკურენტი „მილანი“ სიენაში 1:2 დამარცხდა.

ასე და ამგვარად, ჩემპიონატის დამთავრებამდე შვიდი ტურით ადრე, „იუვეს“ სამქულიანი უპირატესობა ებოძა და წესით და რიგით, მის შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს.

მაგრამ არის ერთი დამაფიქრებელი გარემოებაც: ბოლო ხუთ დაპირისპირებაში, „ინტერს“ „იუვენტუსთან“ ერთი თამაშიც არ წაუგია და თან — ტურინელთა შფოთვისა და ჩვენი სეირისთვის — ამ შეხვედრებში ოთხ გოლზე ნაკლები არ გასულა.

მაგალითისთვის, თუ ვნებათა [illegible] ჩემპიონატის პირველი [illegible] გავიხსენოთ, როდესაც ძალიან ლამაზ თამაშში „ინტერმა“ 0:2 ჩამორჩენა გამოასწორა და მატჩი 2:2 დასრულა.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ „იუვენტუსს“ სერია A-ს ბოლო რვა თამაშში არ წაუგია, ხოლო „ინტერმა“ ბოლო სამი მატჩი მოიგო. რაც შეეხება ტრავმებს, ამ მხრივ სავალალოდ საქმე არც ერთს აქვს და არც მეორეს.

იტალიის მოქმედ ჩემპიონ „მილანს“ კი მშობლიურ „სან სიროზე“ მორიგ „პაწაწა გუნდთან“, „კიევოსთან“ აქვს სათამაშო. „კიევოს“ საქმე კი ასეა: მარიო ბერეტას ქვეშევრდომებს საქმე გავარდნაზე ჰქონდათ, მაგრამ ბოლო ორი თამაში მოიგეს, სახიფათო ზონას ასცდნენ და სავარაუდოდ „მაკ-წითლებს“ ძალიან დიდ ბრძოლას გაუმართავენ, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — „მილანს“ წესით და რიგით, „კიევოს“ რაგინდარა გაავების არ უნდა შეეშინდეს.

პირველ წრეში, „სტადიო ბენტეგოდიზე“ „მილანმა“ ვერონელებს 1:0 მოუგო. ის მატჩი ღირსშესანიშნავი იმით გახლდათ, რომ „მაკწითლების“ ერთადერთი გოლი ერნან კრესპომ შეაგდო — ეს მაშინ არგენტინელის პირველი გოლი გახლდათ მილანელთა მაისურით.

დღეს კრესპო ალბათ, კვლავ მოედანზე იქნება და ანდრეი შევჩენკოს შეუწყვილდება, ვინაიდან იონ დალ ტომასონი და ფილიპო ინძაგი დაშავებულები არიან. დაცვაში დაბრუნდება ალესანდრო ნესტა. ივი კახა კალაძის მაგივრად, ოღონდ შუაში დაიკავებს ადგილს, ხოლო მარცხნივ კაპიტანი პაოლო მალდინი დადგება — ასეთია სავარაუდო ამბები.




**პიერლუიჯი კოლინას ანდრეი შევჩენკო გაუბრაზდა**

# შევჩენკომ კოლინა დაანამუსა
## მილანმა მსაჯთან წააგო

„მილანი“ და „იუვენტუსი“, კარგა ხანს ერთად რომ ლიდერობდნენ სერია A-ს, ახლა გაიყვნენ: ბოლო ტურში „იუვენტუსმა“ მოიგო, „მილანი“ კი დამარცხდა.

თავისთავად, თამაში ვის არ წაუგია, მაგრამ მილანელები „სიენასთან“ მარცხს“ მსაჯს აბრალებენ, ხოლო მსაჯი, არც მეტი, არც ნაკლები, თვით პიერლუიჯი კოლინა გახლდათ.

**სათამაშო** ეპიზოდი, რომელმაც მილანელთა წყრომა გამოიწვია, ასეთი იყო: ერნან კრესპოს მარცხენა ფლანგიდან კარის გასწვრივ დაბალ ჩაწოდებულს ანდრეი შევჩენკომ ფეხი დაუხვედრა და გაიტანა, მაგრამ კოლინამ ეს გოლი არ ჩათვალა, უკრაინელი ოფსაიდში იყოო.

ერთის მხრივ, ეს გოლი რომც ჩათვლილიყო, „მილანი“ ოდენ ერთ ქულას გამორჩებოდა და „იუვენტუსს“ მაინც ჩამორჩებოდა, მაგრამ მეორეს მხრივ, პრეტენზია არსებობს და ამას გვერდს ვერ ავუვლით.

„ვიდეოზე იმ მომენტის გამეორების ნახვის სურვილიც არ მაქვს — თქვა ანდრეი შევჩენკომ — გვერდიდან ხომ არ ვუყურებდი, მოედანზე ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი, რომ ნაღდი გოლი გავიტანე.“

ასეთი კომენტარი უკრაინელმა TG-სთან ინტერვიუში გააკეთა და დასძინა: „ღრმად ვარ დარწმუნებული, კოლინას ის გოლი რომ ჩაეთვალა, ჩვენ თამაშს არ წავაგებდით. ამიტომ ვთვლი, რომ ამ მატჩში დამარცხება სწორედ რომ მსაჯის სინდისზეა“.

შევჩენკომვე, „იუვენტუსთან“ სამქულიანი ჩამორჩენის მერე თქვა: „ახლა მთავარია, არ ჩაგვეძინოს და ბრძოლა წაგებულად არ ჩავთვალოთ. სჯობს ვიფიქროთ, რომ „იუვენტუსს“ არაფრით ჩამოვრჩებით, მხოლოდ მსაჯის შეცდომამ ჩამოგვაქვეითა მეორე ადგილზე და ეს უსამართლობა სწრაფად უნდა აღმოვფხვრათ. ფაქტობრივად, არაფერი მომხდარა, სეზონის ბოლო შვიდი მატჩი ჩვენთვის ისედაც ფინალივით იყო, განსაკუთრებით კი „სან სიროზე“, „იუვენტუსთან“ შეხვედრა, რომელიც ჯერ კიდევ წინ გვაქვს. ერთი კი ზუსტად ვიცი და ჩვენი გულშემატკივრებიც მინდა დავაიმედო — „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვისაც აგრძელებს ბრძოლას და სკუდეტოსთვისაც.“

აი, მილანელთა მრავლისმნახველი კაპიტანი პაოლო მალდინი კი ამბობს, ახლა სკუდეტოს მოგების უმთავრეს ფავორიტად „იუვენტუსი“ იქცაო.

„რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენთაგანი ეცდება, ამ სამქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ „სიენასთან“ დაკარგული სამი ქულა აღმოჩნდეს გადამწყვეტი. მაგრამ მოდით, მხოლოდ მსაჯს ნუ დავაბრალებთ ყველაფერს. ვაღიაროთ, რომ „ბრეშასთან“ და „სიენასთან“ ექვსი ქულის ალებას ვგეგმავდით და მხოლოდ ერთი ავიღეთ. და მაინც, დაკარგული ჯერ არაფერია: ოთხშაბათს (ანუ დღეს) ჩვენ „კიევოს“ ვხვდებით“, „იუვენტუსის“ მეტოქე კი „ინტერია“...

**ძოტე ძეძელია**

# რომას ინტერიც შეშურდა
## კოზმი და დი ვაიო ჩემთან

*სერსე კოზმი კვლავაც იტალიური პრესის ყურადღების ცენტრშია. ახალგაზრდა და ექსცენტრიული სპეციალისტით, რომელიც ახლა „ჯენოაში“ მოღვაწეობს, „რომას“ გარდა მილანის“ ინტერიც“ დაინტერესდა. ეს ინფორმაცია უკვე დაადასტურა კოზმის აგენტმა როკო დოცინიმ. ამასთანავე, „ნეროაძურიმ“ თვალი „ვალენსიას“ ფორვარდ მარკო დი ვაიოსაც დაადგა*

**მოგეხსენებათ,** „პერუჯას“ ყოფილმა და „ჯენოას“ ამჟამინდელმა თავკაცმა გენუელებს ფაქტობრივად გაუნაღდა სერია A-ში დაბრუნება. მას კლუბთან კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. და, როგორც ცოტა ხნის წინ განაცხადა, მის შეწყვეტას არ აპირებს, თუმცა მისი აგენტი არაფერს გამორიცხავს. თანაც სერსე კოზმი „რომას“ თავგადაკლული ფანატი ყოფილა.



**სერსე კოზმიზე ტაციაობაა**

როკო დოცინი: „ამ დროისთვის „რომასა“ და ჩვენს შორის არანაირი კონტაქტი არ არსებობს, მაგრამ დედაქალაქელები ჩემი კლიენტისადმი მართლაც სიმპათიურად არიან განწყობილნი. გარდა ამისა, სერსე „რომას“ ფანია და არ ვიცი, შეძლებს თუ არა საყვარელი გუნდის გაწვრთნაზე უარის თქმას. რაც შეეხება „ინტერს“, ამ ინფორმაციასაც ვადასტურებ. მასიმო მორატი დიდ ინტერესს იჩენს კოზმისადმი, მაგრამ მილანელები ვითარებაში ჯერ კარგად უნდა გაერკვნენ და მოიფიქრონ, ღირს თუ არა რობერტო მანჩინის გადაყენება, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოზმის გარდა „ინტერი“ მარკო დი ვაიოსაც ეკურკურება. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ „იუვენტუსის“ ყოფილ თავდამსხმელს „ვალენსიას“ თავკაც ანტონიო ლოპესთან შელაპარაკება მოუვიდა და იგი გაურკვეველი დროით ჩამოაშორეს გუნდს. ამ ინციდენტის გახმაურების შემდეგ დი ვაიოს უკვე რამდენიმე წინადადება მიუღია იტალიიდან.

გავრცელებული ცნობით, მილანური კლუბი მზად არის, „ვალენსიას“ დი ვაიო კრისტიან ვიერიში გაუცვალოს. „ინტერს“ დი ვაიოს შეძენა გასულ ზაფხულსაც სურდა და ტრანსფერი თითქმის გაზარხულიც იყო, მაგრამ ყველაფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ „შავ-ლურჯების“ წამყვან ფორვარდ ადრიანოსა და დი ვაიოს ერთად უკვე უთამაშიათ. ისინი დაახლოებით სამი თვის მანძილზე საკმაოდ წარმატებულ დუეტს ქმნიდნენ, როდესაც „პარმაში“ ირიცხებოდნენ.

**გიორგი ძაძამაძე**

# ლიგა პარიზს, უეფა ეინდჰოვენს
## შვიდჯერ ორი ევროპაზე

**ხუთშაბათს ტალინში უეფას კონგრესი გაიმართება. მასში მონაწილეობას ამ ორგანიზაციის წევრი ორმოცდათორმეტივე ქვეყნის დელეგატები მიიღებენ და მთელი საფეხბურთო ევროპისთვის უმნიშვნელოვანეს თემებს შეეხებიან, მანამდე კი აღმასკომის ორდღიანი სხდომის პირველი დღის შესახებ მოგახსენებთ**

**მოგეხსენებათ,** ევროპის 2008 წლის ჩემპიონატს ერთდროულად ორმა ქვეყანამ, ავსტრიამ და შვეიცარიამ უნდა უმასპინძლოს, უეფამ კი გუშინ დაადგინა, როგორი წესით ჩაატარებს შესარჩევ შეჯიბრებას, რომლის დაწყებაც გერმანიის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უწევს.

მაშ ასე, წესი, რომელიც ალბათ ბევრ ქვეყანას გაახარებს: შეიქმნება შვიდი შესარჩევი ჯგუფი, რომელთა გამარჯვებულები და მეორე ადგილზე გასულები პირდაპირ შეუერთდებიან მასპინძლებს. ყველაფერი მარტივია, მეორეთა პლეი ოფების ეტაპი კი მოხსნილი.

მეორე თემა ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის მომდევნო ორი გათამაშების ფინალის მასპინძელი ქალაქის და სარბიელის დასახელება გახლდათ. ლიგის ფინალის მსურველ კანდიდატთა შორის იყვნენ: პარიზის „სტად დე ფრანსი", ათენის ოლიმპიური სტადიონი, მოსკოვის „ლუჟნიკი", ლონდონის „უემბლი" და ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი".

უეფას თასის ფინალზე ოცნებობდნენ: ათენის „კარაისკაკი", გლაზგოს „ჰემპდენ პარკი", ეინდჰოვენის „ფილიპსი" და სევილიის „რამონ სანჩეს პისხუანი".

გადაწყდა, რომ 2006 წლის ლიგის ფინალს „სტად დე ფრანსი" უმასპინძლებს, ხოლო 2007-ისას ათენის ოლიმპიური სტადიონი. რაც შეეხება უეფას თასს, აქ პატივი ეინდჰოვენსა და გლაზგოს ხვდათ.

და უმთავრესი საკითხი: უეფას სურს ევროპულ კლუბებში ადგილობრივი ფეხბურთელების რაოდენობა გაზარდოს და საამისოდ დიდი ხანია გეგმას ამუშავებს. გაგაცნობთ გეგმას. მის მიხედვით — გეგმის შემუშავებისას დაწვრილებით შეისწავლეს ევროკავშირის ყველა წეს-კანონი და აზრი ჰკითხეს, როგორც ამ ქვეყნების უმაღლეს წარმომადგენლებს, ასევე ცალკეული ქვეყნების შესაბამის ჩინოსნებს — 2006-07 წლების სეზონში ევროთასებზე მონაწილე თითოეულმა კლუბმა უეფაში უნდა წარადგინოს განაცხადი არაუმეტეს 25 ფეხბურთელისა, რომელთა შორის ორი აუცილებლად უნდა იყოს მისივე სკოლის და ორიც, მისი ქვეყნის, უფრო სწორედ კი ფედერაციის რომელიმე სასწავლებლის აღზრდილი.



ტალინში უეფელები ბევრ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ

ამ განაცხადთან ერთად კლუბებს მოსთხოვენ, მეორე სიახლეც, რომელშიაც ჩამოწერილი უნდა იყოს ამ 21-წლამდელების გვარები, რომლებიც ორი წელიწადი და მეტია მისი მოთამაშეები არიან. აქ, დავძინით, რომ ამ ახალგაზრდების რაოდენობა ნებისმიერი შეიძლება იყოს.

2007-08 წლების სეზონში, პირველ განაცხადში საკუთარი აღზრდილებისა და „თანამემამულეების" რიცხვი უკვე სამ-სამს უნდა უდრიდეს, ხოლო 2008-09 წლებისაში კი ოთხ-ოთხს.

ახლა ერთი სჭირბოროტო საკითხიც დავაზუსტოთ. ვინ შეიძლება იყოს ის, ვინც ჩვენ „თანამემამულედ" და ამა თუ იმ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წიაღში არსებული სკოლის აღზრდილად მოვიხსენიეთ? მოგეხსენებათ, ყველაფერს იურიდიული დაკონკრეტება და დაწურვა სჭირდება, მითუმეტეს ასეთ აწყობილ სამყაროში, როგორიცაა ევროკავშირი, სადაც მშრომელთა უფლებები და თავისუფლება უმაღლეს დონემდეა აყვანილი.

ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, თურმე ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მოთამაშე, რომელიც 15-დან 21-წლამდე მონაკვეთში, სულ ცოტა სამი წლის განმავლობაში ამა თუ იმ ქვეყნის, ან შემთხვევაში კი ფედერაციის სკოლაში იზრდებოდა.

თქვენ მოგწონთ უეფას პროექტი? „ჩელსის" აღმასრულებელ შეფს, პიტერ კინიონს კი არ მოსწონს. იგი ამბობს, რომ ეს კანონი უმაღლ ნაკრებების საკეთილდღეოდ არის მოგონებული, ხოლო მის კლუბს ასეთი არაფერი სჭირდება, რადგან „ჩელსი" ათამაშებს იმდენ ინგლისელს, რამდენის თამაშიც შესაძლებელი იქნება.

**პაპუნა ქედია**

# მაურინიუმ ტელეფონი შარჟო

*ცნობილია, რომ „ჩელსის" პორტუგალიელ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუს ნამეტანი ლაქლაქი უყვარს. მას სალაპარაკო არ ელევა და ამჯერადაც, პორტუგალიურ ტელეარხთან ინტერვიუში გუდას პირი მოხსნა და ნაირ-ნაირ ამბებს მიედ-მოედო.*



ჟოზე მაურინიუმ, მობილური არ გამომიყენებიაო

**შეგახსენებთ** — „ჩელსისა" და „ბაიერნის" პირველი მეოთხედფინალურ მატჩში ჟოზე მაურინიუ სტადიონზე არ იყო, რადგან უეფამ ორ საევროთასო თამაშზე დისკვალიფიკაცია გამოუწერა. მაურინიუს თანაშემწე რუი ფარია „სტემფორდ ბრიჯზე" ყურებზე ჩამოფხატული ნაქსოვი ქუდით იჯდა. უეფას დელეგატმა კი იეჭვა, რომ რუი ფარია თაღლითობდა და ჟოზე მაურინიუსთან ტელეფონით საუბრობდა, მაგრამ ეს ფაქტი არ დამტკიცდა.

მოკლედ, „პორტუს" ყოფილმა თავკაცმა ტელეინტერვიუში განაცხადა, უეფას დელეგატის ბრალდება აბსურდული იყო, რუი ფარიას ჩემთან სატელეფონო კავშირი არ ჰქონიაო.

„ეს სასაცილოა — თქვა მაურინიუმ — ჩვენ ყველაფერი მატჩამდე გავარკვიეთ და სათანადოდ მოვემზადეთ. თამაშის დროს ვითარებას პირადად რუი ფარია აკონტროლებდა და მე არ ჩავრეულვარ. უეფასთან პრობლემა არ მაქვს. მათ დამსაჯეს და ამ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, თუმც მიმაჩნია, რომ უსამართლოდ მომექცნენ".

„ჩელსის" თავკაცი სამშობლოში უაღრესად პოპულარულია. ქალაქი პორტუ მისი სურათებითაა დახუნძლული.

„ვიმედოვნებ, რომ პრემიერლიგაში პირველობას ნაადრევად გავინაღდებთ და საშუალება მექნება, გუნდის მთავარი ფეხბურთელები ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისთვის დავასვენო. მათ ხომ ამ სეზონში 54 მატჩში ითამაშეს და უკვე ძალიანაც გადაიღალნენ".

**ვაჟა ხუციშვილი**

*მომავალ კვირაში, ბრაზილიის ტელევიზიის იუბილესთან დაკავშირებით ამხანაგური მატჩი გაიმართება — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები გვატემალას გაეჯიბრებიან. ბრაზილიელთა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ საამატჩოდ 13 ახალწვეული გამოიძახა და... თან 39 წლის რომარიოსაც უხმო*

# დაბრუნება
## რომარიო ოთხი წლის შემდეგ

„ის ძირითად შემადგენლობაში იქნება — თქვა პარეირამ — და ეს ერთგვარი პატივისცემაა ბრაზილიური ფეხბურთის უდიდესი ვარსკვლავისა".

1994 წლის მუნდიალზე რომარიომ ხუთი გოლი გაიტანა და ბრაზილიელებმა ჩემპიონატი მოიგეს. მწვრთნელი მაშინაც კარლოს ალბერტო პარეირა იყო, ხოლო რომარიომ თავისი ქვეყნის მაისურით ბოლოს 2001 წელს, ურუგვაისთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ითამაშა.

ალსანიშნავია, რომ გვატემალასთან შეხვედრისთვის მწვრთნელმა ლეგიონერები არ გამოიძახა. ახალწვეულებში არიან: ზიზინიო, გაბრიელი, ფაბიანო ელერი, ანდერსონი, ლეონარდო, გლაუბერი, მარსინიო, ფერნანდინიო, ჟოზე, კარლოს ალბერტო, ფერნანდაო, გრაფიტე და ფრედი.



ბრაზილია გვატემალას 27 აპრილს, სან პაულუში უმასპინძლებს. ეს გუნდები ბოლოს ერთმანეთს 1998 წელს; კონკაკაფის „ოქროს თასზე" შეხვდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დეშანმა სავიოლა მოიძულა



ხავიერ სავიოლა „მონაკოდან" ზაფხულში წავა

**გადაწყვეტილია** — არგენტინელ ხავიერ სავიოლას მომავალი სეზონისთვის ახალი კლუბის ძებნა მოუწევს.

ფრანგული „მონაკოს" თავკაცმა დიდიე დეშანმა, რომელმაც ეს გადაწყვეტილება პირადად მიიღო, პრესასთან საუბარში აღნიშნა, რომ სავიოლასთან თანამშრომლობა მის გეგმებში უკვე აღარ შედის. მისი თქმით, „ბარსელონასგან" ნათხოვარი ფეხბურთელი თავდასხმაში ერნესტო ჩევანტონს ვერ შეეწყო.

„სავიოლამ იმედები ძალიან გამიცრუა. იგი კარგ ფორმაში არ არის და ალბათ, მისთვისაც ასე აჯობებს, თუ გუნდს გამოიცვლის. ჩევანტონ-სავიოლას დუეტი აშკარად არ ამართლებს. ისინი დაახლოებით ერთი სტილის მოთამაშეები არიან და ერთმანეთს ვერ ეწყობიან" — განაცხადა დეშანმა.

გეცოდინებათ, ხავიერ ერნესტო ჩევანტონი „ლუი II"-ზე გასულ ზაფხულს, „ლეჩედან" გადაბარგდა და სეზონის გარკვეული ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა. მიუხედავად ამისა, იგი დიდიე დეშანის ფავორიტად და გუნდის პირველ თავდამსხმელად მაინც რჩება. დასტურად მომავალ სეზონში „მონაკოს" სათამაშო სქემა გამოდგება, სადაც სწორედ ჩევანტონის გარშემო აეწყობა დეშანის ნააზრევი.

რაც შეეხება სავიოლას, მან მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 23 მატჩში მხოლოდ 6 გოლი გაიტანა და მთლიანობაში, არც ისე შთამბეჭდავად ითამაშა.

ზემოთაც ვახსენეთ, 23 წლის არგენტინელი, იგივე „ბაჭია", კატალონიური „ბარსელონას" საკუთრებაა და მას „კამპ ნოუზე" დაბრუნება ყოველთვის სურდა, მაგრამ სავარაუდოდ, ფრანკ რაიკარდის გუნდში მისი ადგილი, არც მომავალ ზაფხულს გამოინახება. აქედან გამომდინარე, ხავიერ სავიოლამ სხვა, ახალ კლუბზე უნდა იფიქროს.

**გიორგი ძაძაბაძე**



ნიკოლა ანელკას თურქეთში კი გააქვს გოლები, მაგრამ რა ხეირი?

# რისთვის მოვითხოვო?
## ანელკამ დომენეკს ძველი გაუხსენა

*თურქული „ფენერბაჰჩეს" ფრანგმა ფორვარდმა ნიკოლა ანელკამ გუშინ თქვა, სანამ ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი იქნება, გუნდში დაბრუნება არ მინერიათ*

„არა მგონია, დომენეკის ხელში თამაში მეღირსოს — განმარტა გულდაწყვეტილმა შეგოლემ — რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავს, მწვრთნელი ჯიუტად მაინც არ მიწვევს. უკეთესი იქნებოდა, რაიმონ დომენეკს პირდაპირ ეთქვა ჩემთვის, რომ არ ვჭირდები".

პსჟ-ს, „არსენალის" და „რეალის" ყოფილი ფეხბურთელი „მანჩესტერ სიტიდან" „ფენერბაჰჩეში" გასულ ზამთარს გადავიდა. 26 წლის ანელკას საფრანგეთის ეროვნულ გუნდში 2002 წლის ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. ცხადია, მან მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატიც გამოტოვა, როცა ფრანგებს როჟე ლემერი წვრთნიდა.

„მეგობრები მეუბნებიან, ნაკრებში დაბრუნება კატეგორიულად, შენ თვითონ უნდა მოითხოვოო, მაგრამ ვერ ვგრძნობ, რომ საფრანგეთის ვჭირდები. „მანჩესტერ სიტიში" თამაშისას საკმაოდ ბევრი გოლები გამქონდა, თუმცა დომენეკს მაინც არ გავხსენებივარ".

ნიკოლა ანელკას ისიც შეახსენეს, თუ იგი ნაცდი მიზეზი, დომენეკს რატომაც აყვიადლწუნა, რაზეც ფეხბურთელმა უპასუხა, რომ ეს ამბავი შვიდი წლის წინ დაიწყო.

„19 წლისა „არსენალის" ძირითადში რეგულარულად [illegible], მაგრამ დომენეკმა 21-წლამდელთა ნაკრებში არც მიმიწვია. არადა, 20-წლამდელებიდან მთავარ ნაკრებშიც კი გადმიიყვანეს".

რაც შეეხება საფრანგეთის ეროვნული გუნდის დღევანდელ მდგომარეობას, ამის თაობაზე ანელკამ თქვა: „საფრანგეთი ძლიერი იყო მაშინ, როცა საუკეთესოები თამაშობდნენ, ახლა კი მხოლოდ კარგი მოთამაშეები გვყავს და ეს საკმარისი არაა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# მაურო სანტორო პასპორტს სექტემბერში გამოიცვლის

*კრაკოვის „ვისლას" არგენტინელი ნახევარმცველი მაურო სანტორო მალე პოლონეთის მოქალაქეობას მიიღებს. კლუბის განცხადების თანახმად, ფეხბურთელს პოლონური პასპორტი სექტემბრისთვის ექნება და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის ამ ქვეყნის მაისურით ითამაშებს*

**„ველეს სარსფილდის"** ყოფილი მოთამაშე და არგენტინის ჩემპიონი „ვისლაში" იტალიური „ბრეშიადან" გადავიდა და გუნდის ლიდერად თითქმის მაშინვე გადაიქცა. 28 წლის სანტორო ახლა პოლონეთის მთავარი საფეხბურთო ლიგის საუკეთესო ნახევარმცველია.

„მაურომ თავად მოისურვა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა და კლუბი საჭირო დახმარებას გაუწევს. ვიმედოვნებთ, რომ სექტემბრისთვის ყველა საჭირო მოგვარდება — თქვა „ვისლას" პრესმდივანმა ირაკი ქურეჟნსკიმ.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეექვსე შესარჩევ ჯგუფში პოლონეთი ინგლისს ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა.

„ძალიან კარგი იქნება, თუ სანტორო სექტემბრის ორ მნიშვნელოვან მატჩში (უელსი და ავსტრია) პოლონეთის ნაკრებს დაეხმარება. მისთვის არგენტინის ეროვნულ გუნდში ადგილი არ მოიძებნა, მაგრამ ჩვენთვის ის მეტად საჭირო ფეხბურთელია" — განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ მიხაილ ლისტკევიჩმა.

აქვე გავიხსენოთ, რომ რამდენიმე წლის წინ პოლონეთის მოქალაქეობა ნიგერიელმა ემანუელ ოლისადებემ მიიღო, რომელიც ბერძნულ „პანათინაიკოსში" თამაშობდა და 2002 წლის მუნდიალზეც ახლდა გუნდს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა
XXIII ტური
ლიბერეცი 1:0 ბანიკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 23 | 17 | 4 | 2 | 45:18 | 55 |
| ტეპლიცე | 23 | 10 | 10 | 3 | 23:18 | 40 |
| სიგმა | 23 | 10 | 5 | 8 | 26:26 | 35 |
| სლავია | 22 | 9 | 7 | 6 | 30:22 | 34 |
| ბანიკი | 23 | 8 | 9 | 6 | 28:25 | 33 |
| ლიბერეცი | 23 | 10 | 8 | 5 | 34:19 | 32 |
| იაბლონეცი | 23 | 8 | 8 | 7 | 23:22 | 32 |
| დრნოვიცე | 23 | 6 | 7 | 10 | 23:26 | 25 |
| ბოლესლავი | 23 | 5 | 10 | 8 | 23:27 | 25 |
| ზლინი | 23 | 5 | 10 | 8 | 22:29 | 25 |
| პრჟიბრამი | 23 | 6 | 7 | 10 | 23:34 | 25 |
| ბლშანი | 23 | 5 | 8 | 10 | 20:33 | 23 |
| სლოვაცკო | 23 | 8 | 10 | 5 | 23:16 | 22 |
| ბრნო | 22 | 5 | 6 | 11 | 19:34 | 21 |
| ოპავა | 23 | 5 | 9 | 9 | 22:26 | 18 |
| ბუდეიოვიცე | 23 | 4 | 6 | 13 | 19:28 | 18 |

*„ლიბერეცს" და „ოპავას" დაკლებული აქვთ 6-6 ქულა, „სლოვაცკოს" — 12 ქულა*

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXIII ტური
ლე ავრი 1:0 ტრუა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 33 | 18 | 7 | 8 | 48:29 | 61 |
| ტრუა | 33 | 18 | 6 | 9 | 53:40 | 60 |
| ლე მანი | 33 | 18 | 5 | 10 | 44:28 | 59 |
| ბრესტი | 33 | 13 | 13 | 7 | 35:29 | 52 |
| სედანი | 33 | 14 | 9 | 10 | 34:33 | 51 |
| დიჟონი | 33 | 12 | 13 | 8 | 36:28 | 49 |
| მონპელიე | 33 | 13 | 10 | 10 | 36:31 | 49 |
| ლავალი | 33 | 13 | 7 | 13 | 38:39 | 46 |
| შატორუ | 33 | 10 | 15 | 8 | 41:36 | 45 |
| გენგამი | 33 | 12 | 9 | 12 | 44:40 | 45 |
| გრენობლი | 33 | 12 | 9 | 12 | 41:42 | 45 |
| გენიონი | 33 | 11 | 12 | 10 | 26:28 | 45 |
| ამიენი | 33 | 10 | 11 | 12 | 34:37 | 41 |
| ლორიანი | 33 | 11 | 7 | 15 | 39:45 | 40 |
| რეიმსი | 33 | 8 | 12 | 13 | 28:48 | 36 |
| ლე ავრი | 33 | 9 | 8 | 16 | 20:32 | 35 |
| კლერმონი | 33 | 7 | 13 | 13 | 30:33 | 34 |
| ანჟე | 33 | 7 | 13 | 13 | 30:39 | 34 |
| კრეტეი | 33 | 7 | 12 | 14 | 31:35 | 33 |
| ნიორი | 33 | 8 | 7 | 18 | 29:45 | 31 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXIX ტური
ალემანია 0:0 დუისბურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 29 | 17 | 5 | 7 | 44:25 | 56 |
| კიოლნი | 29 | 16 | 7 | 6 | 53:30 | 55 |
| აინტრახტი | 29 | 15 | 4 | 10 | 54:38 | 49 |
| მიუნხენი | 29 | 13 | 10 | 6 | 43:33 | 49 |
| ფიურტი | 29 | 14 | 5 | 10 | 42:35 | 47 |
| ალემანია | 29 | 13 | 6 | 10 | 51:33 | 45 |
| აუე | 29 | 13 | 5 | 11 | 44:36 | 44 |
| ბურგჰაუზენი | 29 | 12 | 8 | 9 | 40:43 | 44 |
| დინამო | 29 | 11 | 4 | 14 | 38:48 | 37 |
| ალენი | 29 | 9 | 8 | 12 | 30:34 | 35 |
| კოტბუსი | 29 | 9 | 8 | 12 | 32:38 | 35 |
| ტრიერი | 29 | 8 | 11 | 10 | 34:43 | 35 |
| ზაარბრიუკენი | 29 | 9 | 6 | 14 | 38:43 | 33 |
| უნტერჰახინგი | 29 | 10 | 3 | 16 | 35:42 | 33 |
| ესენი | 29 | 6 | 14 | 9 | 34:43 | 32 |
| კარლსრუე | 29 | 7 | 10 | 12 | 35:43 | 31 |
| ერფურტი | 29 | 7 | 9 | 13 | 33:50 | 30 |
| ობერჰაუზენი | 29 | 7 | 7 | 15 | 33:56 | 28 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXIX ტური
მორეირენსე 1:3 სპორტინგი
0:1 დუალა (32), 1:1 ფერნანდუ (67), 1:2 ზა პინტუ (71), 1:3 ლიდსონი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 29 | 16 | 7 | 6 | 46:28 | 55 |
| სპორტინგი | 29 | 16 | 6 | 7 | 60:31 | 54 |
| ბრაგა | 29 | 15 | 9 | 5 | 41:20 | 54 |
| პორტუ | 29 | 14 | 9 | 6 | 33:24 | 51 |
| ბოავიშტა | 29 | 13 | 9 | 7 | 36:36 | 48 |
| გიმარაეში | 29 | 13 | 8 | 8 | 32:24 | 47 |
| რიუ ავე | 29 | 9 | 16 | 4 | 32:30 | 43 |
| ბელენენსეში | 29 | 11 | 6 | 12 | 36:32 | 39 |
| მარიტიმუ | 29 | 9 | 12 | 8 | 33:30 | 39 |
| სეტუბალი | 29 | 9 | 9 | 11 | 39:40 | 36 |
| ნასიონალი | 29 | 10 | 5 | 14 | 37:40 | 35 |
| ლეირია | 29 | 7 | 13 | 9 | 27:28 | 34 |
| პენაფიელი | 29 | 10 | 4 | 15 | 32:47 | 34 |
| აკადემიკა | 29 | 8 | 8 | 13 | 27:36 | 32 |
| ჟილ ვისენტე | 29 | 8 | 6 | 15 | 28:36 | 30 |
| ეშტორილი | 29 | 7 | 5 | 17 | 32:46 | 26 |
| ბეირა მარი | 29 | 6 | 8 | 15 | 27:52 | 26 |
| მორეირენსე | 29 | 5 | 10 | 14 | 22:40 | 25 |

## შვედეთი

ალსვენსკა. II ტური
ჰეკენი 1:0 სუნდსვალი
ჰალმსტადი 3:1 იურგორდენი
ჰამარბი 0:0 კალმარი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კალმარი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ასირისკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ჰელსინგბორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სუნდსვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჰალმსტადი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ოორგრიტე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მალმიო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰეკენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| იურგორდენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ელფსბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| გიოტებორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| გეფლე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლანდსკრონა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

## ნორვეგია

ტიპელიგა. II ტური
ფრედრიკსტადი 2:1 ვიკინგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ალესუნდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ფრედრიკსტადი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| როსენბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ტრომსიო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჰამ კამი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ბრანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ვიკინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ვოლერენგა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ლილესტრიომი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ოდ გრენლანდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბოდიო გლიმტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| მოლდე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# იკერ კასილიასი: დაცვა მწამს, დაცვა მაკვირვებს

*მადრიდის „რეალის" ფეხბურთელებზე, კერძოდ კი იკერ კასილიასისა და ივან ელგერას წინასწარმეტყველობაზე ესპანეთში თურმე ლეგენდები დადის. ჰოდა...*
*„ისინი (ბარსელონელები) დარჩენილი მატჩებიდან ოთხში ფრეს ითამაშებენ და „ვალენსიასთან" წააგებენ, რაც ჩვენთვის სრულიად საკმარისია ჩემპიონობისთვის. „რეალი" კი ფრეზე თამაშს ან წაგებას არ აპირებს" — ინტერვიუში, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ, იკერ კასილიასმა მადრიდული „ასის" ჟურნალისტს თავიდანვე ჯიქურ ეს განუცხადა. მერე კი...*




— ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდის, როგორაც თქვენ თქვით: „რეალმა" „ლევანტეს" იოლად მოუგო და ბარსელონელებმა „ხეტაფე" დაამარცხეს...

— ცხადია, ყველა თავისას ვარაუდობს, მაგრამ ჩემი გათვლა მართლაც რომ უტყუარი გამოდგა. არ ვიცი, მაქვს თუ არა, ამის ნიჭი, მაგრამ იმედია, მომავალშიც არ შევცდები: წინ კიდევ ექვსი შეხვედრაა დარჩენილი.

**— რომელი უფრო უკეთესია, მომავალ ტურში „ბარსელონაზე" ადრე რომ ითამაშოთ თუ პირიქით?**

— ვერაფერს გეტყვით. ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად გვაფიქრებს, „რეალის" ფორმაა — პრიმერას ბოლომდე არც ერთი მატჩის ჩაგდება არ შეიძლება. უნდა მოვიგოთ და სულერთია, კატალონიელებზე ერთი საათით ადრე ვითამაშებთ, თუ გვიან.

**— „ლევანტესთან" მატჩის საუკეთესოდ თქვენ დაგასახელეს...**

— მადლობის მეტი რა მეთქმის. თავს არ ვიქებ, მაგრამ რაც შემეძლო, მოვიგერიე და ბედნიერი ვარ, რომ „რეალის" მორიგ გამარჯვებაში წვლილი მეც მიმიძღვის.

**— ესპანეთში, თქვენზე უკვე ისე ლაპარაკობენ, როგორც მსოფლიოს საუკეთესო მეკარეზე. ასეა?**

— ყოველ შემთხვევაში ვცდილობ, რათა საუკეთესო გავხდე. დანარჩენი კი სხვა საქმეა, მალიარებენ, თუ არა.

**— ამას წინათ, კლუბის სპორტულმა დირექტორმა, არიგო საკიმაც იგივე განაცხადა...**

— ალბათ, ქათინაური იყო. რასაკვირველია, ქება ყველას მოსწონს და მათ რიცხვს მეც მივეკუთვნები. თუმცა თავის მოტყუებას არ ვაპირებ — იკერ კასილიასმა საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები სხვებზე უკეთ იცის.

**— ისევ თქვენს ვარაუდებს დავუბრუნდეთ: თუ დაგიჯერებთ, პრიმერას მომდევნო ტურში „ბარსელონამ" „მალაგასთან" ფრედ უნდა ითამაშოს, ხოლო „რეალმა" შინ „ვილიარეალი" უნდა დაამარცხოს...**

— რატომაც არა? „მალაგას" სეგუნდაში გასავარდნ ადგილს ოდენ 9 ქულა აშორებს და ცხადია, რომ ანდალუზიელებს ცხრილში პოზიციების გამყარება სურთ.

**— და თუ „მალაგამ" წააგო...**

— რა გაეწყობა, ამ შემთხვევაში ალბათ ჩემპიონობა „ბარსას" დარჩება.

**— „რეალი" ახლა გაცილებით უკეთ თამაშობს. ეს ვანდერლეი ლუშემბურგოს დამსახურებაა?**

— ვფიქრობ, არც კამაჩოს და არც გარსია რემონის მწვრთნელობისას ვთამაშობდით ურიგოდ. უბრალოდ, ახლა შექმნილი ვითარება და ატმოსფერო მოითხოვს მთელი ძალებით თამაშს.

**— „რეალმა" დაცვაში თამაში ადრინდელთან შედარებით ძალიან გამოასწორა...**

— წლეულს, დაცვამ მართლაც რომ ჩინებულად ითამაშა. უკანახაზელებისადმი სასაყვედურო ნამდვილად არაფერი მაქვს. საინტერესო რა არის იცით? „რეალის" დაცვას ასე ხშირად რომ აკრიტიკებენ, ის რატომ არ ახსენდებათ, რომ ჩვენ წლეულს, მხოლოდ 28 ბურთი გავუშვით?

**— თანაგუნდელებს ხანდახან სასოწარკვეთილი რომ უყვირით-ხოლმე?**

— ეგ არაფერი, სტანდარტულებისას დაცვას ზედმეტი ყურადღებისთვის ვგეშავ. აბა, თუ არ ვიყვირე, საქმე ისე არ გაკეთდება.

**— დათვლილი გვაქვს: იკერ კასილიასმა, რაც მადრიდის „რეალშია", უკვე 1024-ჯერ შეძლო ბურთის მოგერიება...**

— კიდევ ათასობით მოვიგერიებ. თავს ბედნიერ კაცად ვთვლი, ეს ხომ ჩემი მოვალეობა და საყვარელი საქმის კეთებაა.

**— „რეალის" უფროსობა კონტრაქტის განახლებაზე არ გაგსაუბრებიათ?**

— ეს მათი გადასაწყვეტია. თუ ჩემი დარჩენა უნდათ, ცხადია, დამელაპარაკებიან კიდეც.

**— ამბობენ, „მანჩესტერ იუნაიტედმა" სარფიანი წინადადება კასილიასის აგენტს უკვე შესთავაზაო...**

— ხალხი ბევრ რამეს ამბობს. „მანჩესტერს" დაინტერესებისთვის, ცხადია, მადლობას ვეტყვი, მე კი ჯერჯერობით „რეალში" დარჩენას ვამჯობინებ.




**იტალიური** „ლაციოს" პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო გუნდის თავკაც ჯუზეპე პაპადოპულოსთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ფიქრობს. „ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ჯუზეპესთან სულ მცირე, მომავალი სეზონის მანძილზე გავაგრძელებთ თანამშრომლობას. ჯერ ჩემპიონატის დასრულებას დავუცდით და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მერე ერთად მივიღებთ" — თქვა ლოტიტომ.

**შოტლანდიის** ნაკრებისა და „დანდის" წამყვანმა მცველმა ლი უილკმა სერიოზული ტრავმა მიიღო. მას ჯვარედინი მყესები გაუწყდა და, ექიმების თქმით, დაახლოებით 18 თვე ვერ ითამაშებს. „ბუნებრივია, უილკი შეწუხებულია და მძიმე მდგომარეობაშია. დამწუხრებულები ვართ ჩვენც. ეს ძალიან ცუდი ამბავია, მაგრამ მჯერა, რომ მალე ყველაფერი კარგად იქნება" — განაცხადა „დანდის" მწვრთნელმა ჯიმ დაფმა.

**ფრანგი** ნახევარმცველი რობერ პირესი „არსენალს" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ჯერ ვერ უთანხმდება და შესაძლოა, გუნდიც დატოვოს. „მე დარჩენა მინდა, მაგრამ თუ სერიოზულ წინადადებას არ მივიღებ, ალბათ წასვლა მომიწევს. ყველა შემოთავაზებას განვიხილავ, მათ შორის „ლიონისას", სადაც სიამოვნებით ვითამაშებდი. ვიცი, მათი სურვილიც ეს არის" — თქვა 32 წლის პირესმა.

**იტალიურ** პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლებელია, ემილიანო მონდონიკო „ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნდეს. შეგახსენებთ, რომ „იები" სერია A-ში სწორედ მან დააბრუნა, მაგრამ იგი სეზონის დასაწყისში ცუდი სტარტის გამო დაითხოვეს. ამჟამად საქმეები კარგად არც დინო ძოფს მისდის და თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ ფლორენციელებს კვლავ მონდონიკო ჩაიბარებს. თუმც საუბარი ჩეზარე პრანდელიზეც არის.

**ინგლისის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველ ოუენ ჰარგრივსს „ჩელსიში" გადასვლა უნდა. „მე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში ვთამაშობ და უკვე შეიძლება, ჩემი კარიერა წარმატებულად ჩაითვალოს, მაგრამ უფრო მეტის მიღწევა მინდა. ამჟამად „ჩელსიში" თამაშზე ვოცნებობ. ლონდონელებს საუცხოო გუნდი და მწვრთნელი ჰყავთ" — განმარტა ჰარგრივსმა.

**შოტლანდიური** „რეინჯერსი" „ჰერენვენის" ახალგაზრდა ფორვარდ კლაას იან ჰუნტელაარით დაინტერესდა. 21 წლის ჰოლანდიელის შეძენა ძალიან უნდა გლაზგოელთა თავკაც ალექს მაკლიშს. როგორც ამბობენ, მას მიზანში პრაღის „სპარტას" თავდამსხმელი მუსტაფა რიგაც ამოუღია. აღვნიშნოთ ისიც, რომ ჰუნტელაარის ხელში ჩაგდებას „ალკმაარიც" ცდილობს.

**იტალიური** „ატალანტას" მცველმა ჯანპაოლო ბელინიმ საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. ახალგაზრდა ფეხბურთელმა მარცხენა მუხლის მყესები დაიზიანა და სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. ამ ინფორმაციამ, ცხადია, ძალიან დაამწუხრა ბერგამოული კლუბის ხელმძღვანელობაც.

**ესპანურმა** „ბარსელონამ" შესაძლოა, რუუდ ვან ნისტელროის შეძენა სცადოს. ჰოლანდიელის მომავალი „მანჩესტერ იუნაიტედში" ბუნდოვანია და წასვლის შემთხვევაში ყველაზე მეტად მას პრიმერადივიზიონში სურს ბურთაობა. როგორც ამბობენ, ინგლისური კლუბი ვან ნისტელროის სანაცვლოდ, სულ მცირე 12 მილიონ გირვანქას მოითხოვს.

**ინგლისური** „მიდლსბროს" თავკაც სტივ მაკლარენს სურს, გუნდი „იუვენტუსის" ფეხბურთელებით, იგორ ტუდორითა და სტეფან აპიათი გააძლიეროს. „ბოროს" წარმომადგენლები უკვე დაესწრნენ „იუვენტუსისა" და „სიენას" (სადაც ამჟამად ტუდორია განათხოვრებული), რამდენიმე მატჩს. მაკლარენს სჯერა, რომ მომავალ ზაფხულს მისი გუნდი ტურინელებთან საერთო ენას გამონახავს.

**იტალიური** „უდინეზე" მომავალი ორი კვირის მანძილზე ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის, ანტონიო დი ნატალეს გარეშე იქნება. „ემპოლის" ყოფილი ნახევარმცველი გასულ უქმეებზე „მესინასთან" მატჩში დაშავდა და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის.

**ჰოლანდიური** „აიაქსი" დენის ბერხკამპს ეპატიჟება. ამსტერდამელებს იმედი აქვთ, რომ თუ ვეტერანი თავდამსხმელი „არსენალთან" ახალ კონტრაქტზე ვერ მოილაპარაკებს, მის გადაბირებას შეძლებენ. თუმც ბერხკამპის აგენტმა რობ იანსენმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, „არსენალისგან" წინადადებას მალე თუ არ მივიღებთ, დენისი კარიერას დაასრულებსო.

**ესპანური** „ბეტისისა" და პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე რიკარდუ ოლივეირა მადრიდული კლუბების — „რეალისა" და „ატლეტიკოს" ყურადღების ცენტრში მოექცა. „კონკრეტული წინადადება არ მიმიღია და ჯერ წასვლაზე არც ვფიქრობ, მაგრამ მეამაყება, რომ მადრიდში დამფასეს" — თქვა თავად ბრაზილიელმა.

**გერმანულმა** დორტმუნდის „ბორუსიამ" ები შმოლარეკის კონტრაქტი „ფეიენოორდისგან" ბოლომდე გამოისყიდა. შეგახსენებთ, რომ 24 ფეხბურთელი დორტმუნდელებმა დეკემბერში ინათხოვრეს ამ როტერდამული კლუბიდან. შმოლარეკმა თავის ახალ გუნდთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების ფინანსური მხარე კი ჯერჯერობით არ ხმაურდება.

**იტალიური** „რომა" „ლივერპულის" ფინელი მცველის, სემი ჰიიპიას თამაშით მოიხიბლა და სკანდინაველის შეძენა მოიწადინა. დედაქალაქელები მზად არიან, მასში 2,5 მილიონი გადაიხადონ. ჰიიპიას მერსისაიდელებთან მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და მის გახანგრძლივებაზე ჯერ არ ფიქრობს.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 3 | ნორვიჩი-ნიუკასლი | 2.45 | 3.3 | 2.65 | 1.4 | 1.27 | 1.46 |
| 22:45 | 4 | პორტსმუთი-ლივერპული | 3.1 | 3.4 | 2.05 | 1.62 | 1.23 | 1.27 |
| 22:45 | 5 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:00 | 6 | ბლექბერნი-კრისტალ პალასი | 1.85 | 3.4 | 3.8 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 22:45 | 7 | სიტი-ბირმინგემი | 2.0 | 3.2 | 3.6 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 22:45 | 8 | ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 3.4 | 4.8 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 23:00 | 9 | ჩელსი-არსენალი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:00 | 10 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.1 | 3.3 | 1.85 | 1.82 | 1.27 | 1.18 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**
**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 125 | ჰერტა(მ)-დორტმუნდი(მ) | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |
| 21:30 | 720 | კიოლნი(მ)-მიუნსტერი | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**
**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 758 | ფულენდორფი-მაინცი(მ) | 2.05 | 3.3 | 2.9 | 1.26 | 1.2 | 1.54 |
| 20:30 | 759 | ზიგენი-ვეენი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 20:30 | 760 | ელვერსბერგი-ოფენბახი | 2.55 | 3.3 | 2.3 | 1.43 | 1.2 | 1.35 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**
**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 155 | ქსამაქსი-თუნი | 2.6 | 3.2 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 21:30 | 156 | აარაუ-ბაზელი | 5.3 | 3.5 | 1.55 | 2.1 | 1.19 | 1.07 |
| 21:30 | 158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 3.8 | 3.3 | 1.8 | 1.76 | 1.22 | 1.16 |

**შვეიცარია. ჩელენჯლიგა**
**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 163 | ბადენი-ვადუცი | 6.0 | 4.0 | 1.4 | 2.4 | 1.13 | 1.03 |
| 21:30 | 165 | ბოლმი-ვინტერთური | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 21:30 | 166 | ბელინცონა-იუვენტუსი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 21:30 | 167 | ბულე-ივერდონი | 3.8 | 3.4 | 1.75 | 1.79 | 1.19 | 1.15 |
| 21:30 | 169 | კონკორდია-კიასო | 2.35 | 3.2 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 21:30 | 170 | კრინსი-შო დე ფონი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 21:30 | 171 | სიონი-ლუცერნი | 1.75 | 3.4 | 3.85 | 1.15 | 1.2 | 1.8 |
| 21:30 | 172 | ვილი-ლუგანო | 2.55 | 3.2 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 21:30 | 173 | ვოლენი-მეირინი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |

**იტალია. სერია A**
**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 183 | კალიარი-ლაციო | 2.15 | 2.8 | 3.5 | 1.21 | 1.33 | 1.55 |
| 22:30 | 184 | ფიორენტინა-მესინა | 1.75 | 3.1 | 5.0 | 1.11 | 1.29 | 1.91 |
| 22:30 | 185 | იუვენტუსი-ინტერი | 1.85 | 3.1 | 4.3 | 1.15 | 1.29 | 1.8 |
